ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**18-01182082923**
თარიღი: **27/07/2018**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 ივლისის #60-0118205261 წერილით (AR1613775) გადმოგზავნილი, მოქალაქე ზურაბ თითბერიძის მიერ წარმოდგენილი, დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ შპს „ჯთჯ“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84 ს.კ:01.12.01.003.235) მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა მიიროს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3¹ თავის, 274-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა და ხე-მცენარეთა ამსახველი ფოტო-მასალა.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)